რესურსების გონიერად მართვა და ვალებისაგან თავის არიდება

ასწავლეთ ეს წმინდა წერილები და ციტატები ან საჭიროებისამებრ სხვა პრინციპები, რომლებიც დალოცავენ იმ დებს, ვისთანაც სტუმრად მიდიხართ. გაუზიარეთ თქვენი დამოწმება მოძღვრებაზე. გაკვეთილის დროს, სთხოვეთ, რომ მათაც გაგიზიარონ თუ რა იგრძნეს და ისწავლეს.

რესურსების მართვა

„მომჭირნეობით ცხოვრება ... ნიშნავსჩვენი რესურსების დაზოგვას, ფინანსური საკითხების ჭკვიანურად დაგეგმვას, პირადი ჯანმრთელობის ხარჯების სრულ უზრუნველყოფას, პირადი განათლების და კარიერის განვითარებისათვის შესაბამისად მომზადებას, ასევე სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს, სახლში საკვები პროდუქტების დამზადებას, მათ შენახვას და ასევე ოჯახში ემოციური სიმტკიცის განმტკიცებას.... თუ ჩვენ ვიცხოვრებთ გონიერად და მომჭირნედ, ჩვენ ვიქნებით დაცული, როგორც მის ხელის გულზე.”[1]

პრეზიდენტი სპენსერ ვ. ქიმბალი (1895–1985).

„რა უნდა ვიცოდეთ რომ ვისწავლოთ თვითუზრუნველყოფა? ... ეკლესიის ჩამოყალიბების პირველ დღეებში, ბრიგამ იანგმა დებს სთხოვა რომ ესწავლათ თუ როგორ აერიდებინათ თავი ოჯახში ავადმყოფობებისათვის, ჩამოეყალიბებინათ ოჯახური წარმოებები, ესწავლათ აღრიცხვა-ანგარიშსწორება და სხვა საჭირო ხელობები. ეს პრინციპები დღესაც აქტუალურია. განათლება ასევე არის ძალიან მნიშვნელოვანი....

„მე შევეკითხე რამოდენიმე ეპისკოპოსს თუ რომელი თვითუზრუნველყოფის უნარჩვევების სწავლა სჭირდებათ ყველაზე მეტად, მათი სამეურვეოს დებს, ეპისკოპოსებმა მიპასუხეს რომ ეს იყო ბიუჯეტის წარმოება. ქალებს უნდათ ესმოდეთ ვალად ყიდვის და ბიუჯეტის შეუსაბამოდ ცხოვრების მნიშვნელობა. მეორე თვისება რომელიც მათ მითხრეს ეს იყო საჭმელების მომზადება. სახლში დამზადებული საჭმელები საერთოდ უფრო იაფია, უფრო სასარგებლო და ხელს უწყობს ოჯახური ურთიერთობების განვითარებას.”[2]

ჯულია ბ. ბეიქი, ხსნის საზოგადოების გენერალური პრეზიდენტი:

ფინანსური ვალის აღებისაგან თავის არიდება

„ნება მიბოძეთ შემოგთავაზოთ ფინანსური თავისუფლებისათვის ხუთი ნაბიჯი....

„პირველი, გადაიხადეთ თქვენი მეათედი....

„მეორე, დახარჯეთ შემოსავალზე უფრო ნაკლები ...

„მესამე, ისწავლეთ დაზოგვა....

„მეოთხე, პასუხისმგებლობით მიუდექით თქვენს ფინანსურ ვალდებულებებს....

„მეხუთე, ასწავლეთ თქვენს ბავშვებს, რომ მიბაძონ თქვენს მაგალითს.”[3]

უხუცესი ჯოსეფ ბ.ვირთსლინი (1917–2008) თორმეტ მოციქულთა ქვორუმიდან.

„როდესაც ფინანსურ ვალს ვიღებთ, ჩვენ ვთმობთ ჩვენი ძვირფასი და შეუფასებელი თავისუფლების ნაწილს, ამით

შინამასწავლებლის დასახმარებლად

მოილაპარაკეთ თქვენს მეწყვილესთან თუ როგორ შეიძლება უკეთესად ამ მოწოდების ადაპტირება მასპინძელი დების მოთხოვნების შესაბამისად. თვითუზრვუნველყოფის რომელი პრინციპები შეგიძლიათ მისთვის გაზიარება?

პირადი მომზადება

მალაქია 3:10

მათე 6:19–21.

ლუკა 12:15 .

მოძღვრება და აღთქმები 38:30; 88:119

დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ *All Is Safely Gathered In: Family Finances* (item no. 04007).

ვაყენებთ ჩვენს თავს ნებაყოფილობით მონობაში. ჩვენ ვხდებით დავალებული ჩვენი დროით, ენერგიით და ქონებით იმის ასანაზღაურებლად, რაც ვისესხეთ — რესურსები რომლებიც შეგვეძლო გამოგვეყენებინა ჩვენი საკუთარი თავის, ჩვენი ოჯახის და მოყვასის დასახმარებლად....

„აღებული ვალების გადახდა და მომავალში მათი აღებისაგან თავის არიდება ჩვენგან მოითხოვს მხსნელში რწმენის გაღრმავებას — არა უბრალოდ იმიტომ, რომ *ვაკეთოთ* უკეთესად არამედ *ვიყოთ* უკეთესნი. ამისათვის საჭიროა დიდი რწმენა, რომ ვთქვათ უბრალო სიტყვები, ჩვენ ამის საშუალება არ გვაქვს. საჭიროა რწმენა რომ ეს ცხოვრება იქნება უკეთესი თუ შევწირავთ ჩვენს მადას ჩვენი საკუთარი და მოყვასის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.”[4]

უხუცესი რობერტ დ. ჰეილსი, თორმეტ მოციქულთა ქვორუმიდან.

შენიშვნები

1. „კეთილდღეობის სამსახურები: სახარება საქმეში,” *Ensign,* ნოემბერი. 1977, 78.
2. „შვების საზოგადოების პრეზიდენტის კეთილდღეობის სამსახურის პასუხისმგებლობები,” *Basic Principles of Welfare and Self-Reliance* (2009), 5.
3. „მიწიერი ვალები, ვალები ზეციური,” *Liahona,* მაისი 2004, 41, 42.
4. „კეთილდღეობის სამსახურის სახარებით ხედვა: სახარება საქმეში” *Basic Principles of Welfare and Self-Reliance* (2009), 1.

© 2009 ყველა უფლებები დაცულია. დაბეჭდილია ა.შ.შ.-ში ინგლისურად დამტკიცებულია: 6/09. თარგმანი დამტკიცებულია: 6/09. თარგმანი
შინამასწავლებლის მოწოდება თებერვალი 2010 Georgian 09362 131

პრეზიდენტი
თომას ს. მონსონი



სულიერი მზადყოფნა
ჩვენი წინასწარმეტყველის რჩევა

რწმენის საძირკველი

„თუ ჩვენ არ გავქვს რწმენისათვის ღრმა საძირკველი და ჭეშმარიტების მყარი დამოწმება, ჩვენ შეიძლება გაგვიჭირდეს, გაჭირვების უხეში შტორმების და სუსხიანი ავდრისათვის წინააღმდეგობის გაწევა, რომელიც ცხოვრების გზაზე ყოველ ჩვენთანაგანს შეიძლება შეხვდეს.

„მოკვდავება ეს არის გამოცდის პერიოდი, ის დრო, როდესაც უნდა დავამტკიცოთ, რომ ვართ ღირსეულნი ჩვენი მამაზეციერთან დაბრუნების. იმისათვის, რომ გავიაროთ გამოცდა ჩვენ უნდა გადავლახოთ გამოწვევები და წინააღმდეგობები. მათ შეუძლიათ გაგვტეხონ, ჩვენი სული შეიძლება გაიბზაროს და დაიმსხვრეს — ასე იქნება თუ ჩვენი რწმენის საძირკველი, ჭეშმარიტების ჩვენი დამოწმება, არ არის ჩვენში ღრმად გამაგრებული.”[1]

ისწავლეთ გაკვეთილები წარსულიდან

„საკუთარ თავში უკეთესის ძიებისას, ჩვენ ზოგიერთი შეკითხვა ჩვენს ფიქრებში გაგვიკვლევს გზას: ვარ თუ არა ის, რაც მინდა, რომ ვიყო? ვარ თუ არა მხსნელთან გუშინდელ დღესთან შედარებით უფრო ახლოს? ვიქნები თუ არა უფრო ახლოს ხვალ? მაქვს თუ არა საკმარისი გამბედაობა, რომ შევიცვალო უკეთესობისაკენ? ...

„წლები მოდიან და მიდიან, მაგრამ სახარების დამოწმების აუცილებლობა კვლავ უმნიშვნელოვანესია. მომავლისაკენ მიმავალ გზაზე, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ წარსულის გაკვეთილები.”[2]

თქვენი პირადი ლიაჰონა

„თქვენი პატრიარქიული კურთხევა არის მხოლოდ და მხოლოდ თქვენი. ის შეიძლება იყოს მოკლე ან ვრცელი, უბრალო ან ღრმა. პატრიარქიული კურთხევის არსი არც მის სიგრძეშია და არც იმაში თუ რა ენით არის ის ნათქვამი. სული არის ის რაც გადმოგვცემს მის ნამდვილ აზრს. თქვენი დალოცვა არ უნდა გქონდეთ სადმე ლამაზად დაკეცილი და შენახული. ან ჩარჩოში არ უნდა ჩასვათ, ყველასთვის დასანახად კედელზე ჩამოკიდებული. ის არის იმისთვის რომ ვიკითხოთ. ის უნდა გვიყვარდეს. დალოცვაში ნათქვამით უნდა ვიხელმძღვანელოთ. პატრიარქიული დალოცვა უკუნეთ ღამეში გზას გაგინათებთ. ის ცხოვრებაში გაგიძღვებათ და აგარიდებთ საფრთხეს.... თქვენი პატრიარქიული კურთხევა არის თქვენი პირადი ლიაჰონა, იმისთვის რომ იყოს თქვენი გზის რუქა და გზამკვლევი....

„საჭირო იქნება მოთმინება, როდესაც ჩვენ დავაკვირდებით, დაველოდებით და ვიმუშავებთ, რათა აგვისრულდეს დაპირებული კურთხევები.”[3]

მოდით მასთან

გახსოვდეთ, რომ ცხოვრების გზაზე თქვენ არ დადიხართ მარტო.... ცხოვრებაში თქვენი

სვლისას ყოველთვის იარეთ შუქისკენ და ცხოვრების გზაზე ბნელი აჩრდილები, ყოველთვის დარჩებიან თქვენს უკან....

„როდესაც შთაგონებისათვის ვკითხულობ წმინდა წერილებს, დროთა დრო ერთი სიტყვა განსაკუთრებულად მხვდება თვალში. ეს სიტყვა არის: მოდი. უფალმა სთქვა, მოდი ჩემთან. მან სთქვა მოდი ისწავლე ჩემგან და მან ასევე სთქვა გამომყევი. მე მომწონს ეს სიტყვა, *მოდი.* ჩემი თხოვნა არის, რომ ჩვენ მივიდეთ უფალთან."[4]

შენიშვნები

1. „როგორი მყარი საძირკველი,"*Liahona,* ნოემბერი. 2006, 62.
2. „მივაღწიოთ საუკეთესოს ჩვენში," *Liahona,* აპრილი. 2006, 3, 5.
3. „თქვენი პატრიარქიული კურთხევა: შუქის ლიაჰონა," *Ensign,* ნოემბერი. 1986, 66.
4. პალოს მე-16 შეკრება ბუხართან , ბრიგამ იანგის უნივერსიტეტი, ნოემბერი. 16, 1986.

ამ მოწოდების სწავლება

წიგნში *Teaching, No Greater Call* აღნიშნულია: „გამოცდილი მასწავლებელი არ ფიქრობს იმაზე თუ დღეს რა უნდა ასწავლოს, არამედ ის ფიქრობს: როგორ დავეხმარო მოსწავლეებს აღმოაჩინონ ის, რისი ცოდნაც მათ სჭირდებათ." ([1999], 61) იმისათვის რომ ადამიანებს დავეხმაროთ ისწავლონ ამ სტატიიდან, მიეცით მათ კალმისტრები და ფურცლები ასევე დრო რომ წაიკითხონ პრეზიდენტ მონსონის სიტყვები და ჩამოწერონ ის ჭეშმარიტებები რომლებიც მათ აღმოაჩინეს, სულიერი მზადყოფნაზე. პატარა ბავშვებს შეუძლიათ დახატონ ნახატები იმაზე თუ რა ისწავლეს. სთხოვეთ გაგიზიარონ თუ რა დაწერეს ან დახატეს.

ახალგაზრდობა

თქვენი პატრიარქიული კურთხევა

პრეზიდენტმა მონსონმა აღწერა პატრიარქიული კურთხევა როგორც: „პირადი ლიაჰონა, თქვენი გზის რუქა და გზამკვლევი." ასე, რომ რა არის ეს კურთხევა და როგორ შეუძლია მას დაგეხმაროთ და გაგიკვლიოთ გზა ცხოვრებაში?

რა არის პატრიარქიული კურთხევა?

თქვენ პატრიარქიული კურთხევას აქვს ორი დანიშნულება. პირველი, წარმოადგენს თქვენს წარმომავლობას, ანუ ისრაელის სახლის, რომელ ტომს მიეკუთვნებით. მეორე, მასში იქნება ინფორმაცია რომელიც დაგეხმარებათ გზის პოვნაში. თქვენ კურთხევაში ალბათ იქნება ასევე დაპირებები, შენიშვნები და გაფრთხილებები.

რამდენი წლის უნდა ვიყო რომ მივიღო პატრიარქიული კურთხევა?

კონკრეტული წლოვანება არ არის მითითებული, მაგრამ თქვენ უნდა იყოთ იმ წლოვანების, რათა დააფასოთ კურთხევის წმინდა ბუნება. ეკლესიის მრავალი წევრი იწყებს ფიქრს პატრიარქიული კურთხევის მიღებაზე მოზარდობის დროს.

როგორ უნდა მივიღო კურთხევა?

პირველ რიგში ესაუბრეთ თქვენს ეპისკოპოსს ან მრევლის პრეზიდენტს. თუ თქვენ ხართ კურთხევის მისაღებად მზად და ღირსეული, თქვენ მოგცემენ სათანადო რეკომენდაციას. ამის შემდეგ, თქვენ შეგიძლიათ დაგეგმოთ თქვენი მხარის პატრიარქთან შეხვედრა.

რა გავაკეთო ჩემი პატრიარქიული კურთხევით?

საგულდაგულოდ შეინახეთ და ხშირად წაიკითხეთ. გახსოვდეთ, თქვენი კურთხევა არის წმინდა და პირადული. ის თქვენ შეგიძლიათ გაუზიაროთ ოჯახის ახლო წევრებს, მაგრამ ის არ უნდა გაუზიაროთ საზოგადოებას. აგრეთვე, ყველა დალოცვები, რომლებიც არის მოხსენებული თქვენს პატრიარქიული კურთხევაში, დამოკიდებულია თქვენს ერთგულბაზე და უფალის ნებაზე.

ბავშვები

მყარი საფუძველი

პრეზიდენტმა თომას ს. მონსონმა სთქვა რომ ჩვენ გვჭირდება „ჭეშმარიტების მყარი დამოწმება." ამის გასაკეთებლად ყველაზე საუკეთესო გზა არის წმინდა წერილების კითხვა. იხილეთ ქვემოთ მოყვანილი ნაწყვეტები. დაწერეთ თუ რა ისწავლეთ ყოველი ნაწყვეტიდან რაც დაგეხმარათ თქვენი დამოწმების გაზრდაში.

მორმონი 7:5

რწმენის სიმბოლოები 1:10

მორონი 10:5

მოძღვრება და აღთქმები 11:12

მორონი 7:41

მოძღვრება და აღთქმები 1:37

ეფესელთა მიმართ 6:11

© 2009 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლებები დაცულია.
დაბეჭდილია ა.შ.შ.-ში 6/09. თარგმანი დამტკიცებულია: 6/09.
თარგმანი პირველ პრეზიდენტთა მოწოდება, თებერვალი 2010
Georgian 09362 131